



# შირაქი

## SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან  
დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№8(9.918)

28მარტი-4აპრილი 2020 წელი  
ფასი: 50 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა

**მუნიციპალიტეტის**

**ხელმძღვანელობა**

**24-საათიან რეჟიმში**

**მუშაობს**

**მ მ . 2**



## დარჩი სახლში!

## საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა



## 21 თვითოვლაციაში, არცერთი ინფიცირებული

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის 27 მარტის მონაცემებით მუნიციპალიტეტში თვითოვლაციაში იმყოფება -21 პირი, არცერთი ინფიცირებული და კარანტინში მყოფი.

კახეთის რეგიონში თვითოვლაციაში ამ დროისთვის 455 ადამიანია, 43 მოქალაქე კი დადგენილი ვადა ამოწმდა. ნაღი სიზანოვილის ინფორმაციით, გასული დღე-ღამის განმავლობაში თვითოვლაციის წესის დარღვევის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. რეგიონში 8 საკარანტინო სივრცეში ჯამში 476 მოქალაქე იმყოფება.

საქართველოში კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევა - 81, მათ შორის გამოჯანმრთელებული - 13, კარანტინის რეჟიმში - 4505, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 247.

## ირაკლი ქადაგიშვილი - „ყველანაირად შევუნყოფთ ხელს საგანგებო სამუშაოების შესრულებას“

„კახეთი მევენახეობის რეგიონია. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაჩეროთ საგანგებო სამუშაოები. ცხოვრება გრძელდება. ხვალ-ზეგ ისევ დავუბრუნდებით სრულფასოვან ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, ყველანაირად შევუნყოფთ ხელს საგანგებო სამუშაოების შესრულებას“-განაცხადა კახეთის გუბერნატორმა, ირაკლი ქადაგიშვილმა, კახეთში კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი ოპერატიული შტაბის სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ.

გუბერნატორის განმარტებით, მევენახეებსა და ფერმერებს საგანგებო რეჟიმით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინება მოუწევთ.

„სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე საგანგებო სამუშაოების ჩატარებაში მოსახლეობას ხელს შევუნყოფთ, მაგრამ მათაც ვუნებებთ რეგულაციებს. მუშახელის ტრანსპორტირება ადგილზე უნდა მოხდეს იმ რეგულაციების გათვალისწინებით, რაც ახლა მიღებულია. ვიცით, რომ ეს მათთვის დამატებითი ხარჯია, მაგრამ ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი და ამ გზით წავალთ“, - განმარტავს ქადაგიშვილი.

კახეთში ოპერატიული შტაბის თათბირზე კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ოპერატიული რეაგირებისა და საგანგებო რეჟიმის შესრულების შესახებაც იმსჯელეს. მათ შორის, მოსახლეობის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების კუთხით ჩასატარებელ ღონისძიებებზე და მუნიციპალიტეტებში საბავშვო ბაღის აღსაზრდელებზე, მარტოხელა პენსიონერებსა და შშმ პირებზე დახმარების პაკეტების განაწილებაზე.


## ცხოვრება წითელ ზონაში

**მ მ . 5**



## ის მაინც მოდის...

**მ მ . 4**





# “მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა 24-საათიან რეჟიმში მუშაობს...”

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ახალი კორონავირუსის გავრცელებამ რაელოვა შეცვალა და სხვა წესრიგი დააგმარა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მირია მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა, სა-ქართველოში კი საბანკო მომსახურება გამოცხადდა. რა რეჟიმში აბრძობა მუნიციპალიტეტი მუშაობს, ბრძოლაში თუ არა ინფრასტრუქტურული პროექტები და როგორ ებრძვიან კოვიდ-19-ის გავრცელებას დედოფლისწყაროში, აბა-ჯა მუნიციპალიტეტის მირი ნიკოლოზ ჯანაშვილი საუბრობს.

## დისტანციური მუშაობის რეჟიმი და ინფრასტრუქტურა

მოუხედავად იმისა, რომ კორონავირუსმა მოიცვა მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველოშიც შემოაღწია, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამ საფრთხეს ღირსეულად შეხვდა ქვეყანა. დედოფლისწყაროში ებიდემოლოგიური სიტუაცია დამაკმაყოფილებელია და პანიკის საფუძველი არ არის. თუმცა, ჩვენი დღის წესრიგი კორონავირუსმა მკვეთრად შეცვალა. მუნიციპალიტეტის მირია მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადასულა, შეიცვალა მოქალაქეთა მომსახურების წესებიც. მოგეხსენებათ, რომ ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა, რაც შეიძლება ნაკლები სოციალური კონ-

დაგვემატა. წინა კვირას გამოცხადდა ტენდერი, რომლითაც ჩვენ ვინყებთ სოფელ საბათლოში საბავშვო ბაღის მშენებლობას. შევასხენებ ჩვენს მოსახლეობას, რომ ჩვენ ყველა სოფელში გვაქვს კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი, ერთადერთი გამონაკლისი იყო საბათლო, სადაც ათწლეულებია, ბაღის გარეშე იყვნენ დარჩენილი აქაური ბავშვები. სექტემბრისთვის აქ ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი იქნება და საბათლოელ აღსაზრდელებსაც კეთილმოწყობილ გარემოში მოუწევთ სკოლამდელი განათლების მიღება.

ასევე, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია დედოფლისწყაროში, ე. წ. მიკრორაიონის ტერიტორიის კეთილმოწყობის ტენდერი, რომელიც გამოცხადდა გასულ კვირას. აქ, როგორც მოგეხსენებათ, 5 კორპუსია და საკმაოდ ბევრი ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობიდან იყო თხოვნა, რომ მომხდარიყო შიდა ეზოს კეთილმოწყობა, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ საკანალიზაციო სისტემა დაზიანებული იყო და ძალიან დიდი დისკომფორტი ექმნებოდათ როგორც კორპუსის მაცხოვრებლებს, ასევე, ზაფხულში, ფაქტიურად შეუძლებელი იყო ბავშვების ეზოში გამოყვანა. ეს იმის ფონზე, როდესაც ჩვენ ორი წლის ად კორპუსის შიდა ეზოში ბავშვთა გასართობი ატრაქციონები დავამონტაჟეთ და დავაკმაყოფილეთ მოსახლეობის ეს მოთხოვნა, მაგრამ მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა დიდ დისკომფორტს ქმნიდა და ბედნიერი ვარ, რომ ნახევარ მილიონ ლარზე მეტი გამოიყო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ასევე, სასიხარულო ინფორმაცია მაქვს

ზემო მაჩხანის მოსახლეობისთვის. საკმაოდ სოლიდური თანხა გამოყვავით იმისთვის, რომ სოფელში მეორე და მეცხრე ქუჩების მოსაფალტება მოხდარიყო. ჩვენი მკითხველისთვის უკეთ გასაგები რომ იყოს, საუბარია ფხოკის უბანზე, პატარა სკოლის უბანსა და დაჯამაპიანთ უბნის ნაწილის მოსაფალტებაზე. ეს ორი საკმაოდ დიდი უბანია მრავალრიცხოვანი მაცხოვრებელით და 16 აპრილს, როდესაც ეს ტენდერი დათავრდება და გვეყოლება გამარჯვებული კომპანია გამოვლენილი, მუშაობის დაწყებიდან 3 თვეში მაჩხანის მნიშვნელოვანი ნაწილის კეთილმოწყობას მოვახერხებთ. ერთად გამოცხადდა მაჩხანისა და არბოშის ცენტრის მოსაფალტების ტენდერი. 850 ათას ლარზე მეტა გამოყოფილი ამ სამუშაოებისთვის.

როგორც მოგახსენეთ, კორონავირუსი არის გამოწვევა, რომელსაც დიდი ძალიანხმევა მიაქვს, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენ შევაჩეროთ მუნიციპალიტეტის განვითარება, ეს არის



ძალიან მოკლე ჩამონათვალი, რომელიც წინა კვირას გამოცხადდა. ასევე, დედოფლისწყაროელები მინდა გავახარო და ვუთხრა, რომ ჩვენ უკვე დავგიმთავრდა 1 მილიონ 400 ათას ლარიანი ტენდერი და გამოვლენილია გამარჯვებული. ეს კომპანია უახლოეს დღეებში დაიწყებს მუშაობას, საუბარია დედოფლისწყაროში 10 ქუჩის მოსაფალტებას. და ამის შემდეგ კი სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დედოფლისწყაროში კეთილმოწყობილი ქუჩა აღარ გვაქვს! ამავე ტენდერის ფარგლებში, არის სოფელ სამრეკლოში ე.წ. აბანოს უბნის მოსაფალტება და ამის შემდეგ სამრეკლოში მხოლოდ ერთი ქუჩა დარჩება ასფალტის საფარის გარეშე, რომლის კეთილმოწყობაც მომავალ წელს აუცილებლად განხორციელდება. ამავე პროექტის ფარგლებში მოხდება ქვემო ქედის საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მოსაფალტება. ზემო ქედელს ვეტყვი, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება 360 ათას ლარიანი პროექტის სამუშაოები, რომელიც სოფელს გარე ნათებით უზრუნველყოფს. ასევე, ყველა ის პრობლემატიკა, რომელიც შეიქმნა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს პროექტების შექმნა და უახლოეს მომავალში განხორციელდება და აქტიურად ნაგა სკოლების რეაბილიტაცია, მოგეხსენებათ, სკოლების მცირე რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციებში გადმოვიდა. მარშან 5 სკოლის რემონტი განხორციელდა, წელს იგეგმება 6 სკოლის რეაბილიტაცია. მცირე რეაბილიტაციაში იგულისხმება სველი ნერტილების მოწესრიგება, და დღეს, როცა მთავარი გამოწვევა კორონავირუსი, მისგან თავდასაცავი საუკეთესო საშუალება სწორედ პირადი ჰიგიენის დაცვაა, ალბათ დამეთანხმებით, რომ ნომერ პირველი ამოცანა სწორედ სველი ნერტილების მოწესრიგება იქნება, და აქვე შეგახსენებთ, წელს იგეგმება უკვე ზემო მაჩხანში ახალი სკოლის მშენებლობის დასრულება, რის შედეგადაც გვექნება 300 მოსწავლელზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა. წელსვე დამთავრდება ხორნაბუჯის საბავშვო ბაღის მშენებლობაც, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. 870 ათასი ლარი და ჯდება. ამის პარალელურად, ქალაქ დედოფლისწყაროში მიმდინარეობს იუსტიციის სახლის მშენებლობა, ასე რომ, ინფრასტრუქტურული თვალსაზრ-

## სით, ძალიან დატვირთული წელი იქნება. ჩააბილია თუ არა საბათლოის აბრძობა ინფრასტრუქტურაში?

დედოფლისწყაროელები მოსახლეობის ერთი ნაწილი ექვს გამოთქვამს, რომ საბათლოის სიდი, რომელიც საქართველოს ისტორიულ პერეთთან აკავშირებს, კვლავ ღიაა. ისინი „მირაქთან“ საუბარში შიშობდნენ, რომ მისი საშუალებით მოსახლეობა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იოლად მოხვედებოდა და კორონავირუსის იმპორტსაც მოახდენდა. როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, ეს ხიდი ჩაკეტილია და მკაცრად კონტროლდება. გამორიცხულია ნებისმიერი არაკონტროლირებადი მიმოსვლის დაშვება. ამჟამად საქართველო-აზერბაიჯანის მხოლოდ ორი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი არსებობს - წითელი ხიდი და ლაგოდეხის გამშვები პუნქტი. ჩვენს მოსახლეობას შეუძლია მშვიდად იყოს - დედოფლისწყაროს საზღვრები საიმედოდაა დაცული.

## როგორ ებრძვიან კორონავირუსს?

მთელი ჩვენი ძალისხმევა მიმართულია კორონავირუსის პრევენციისკენ. საზოგადოებრივი და პირველადი ჯანდაცვა, მერიის ზედამხედველობა, პოლიცია და მოხალისეები, მართლაც 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, რომ არ მოხდეს კოვიდ-19-ის გავრცელება და უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის უსაფრთხოება.

ჩვენი შესაბამისი სამსახურები ყოველდღიურად ატარებენ სადენზიფექციო სამუშაოებს და ახორციელებენ მონიტორინგს, თუ როგორ იცავენ მთავრობის რეგულაციებს ის ორგანიზაციები, რომლების საგანგებო მდგომარეობის პირობებში ფუნქციონირებენ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, მონყვლად ჯგუფებზე ზრუნვის მიზნით, გვამავს სოციალური კალათების შექმნასა და დარიგებას იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რისკის ქვეშ არიან. კალათებში იქნება სასურსათო და ის პირველადი მოხმარების საგნები, რომელიც ყველა ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

დარჩით სახლში, დაიცავით დისტანცია! ყველა ერთად დავიცავთ მთავრობის რეკომენდაციები და ერთად დავაბრძვით კორონავირუსს!

ბისუპრავაში ჯანმრთელობას!  
ესაუბრა ინგა შიქლაშვილი



ტაქტი. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს მოქალაქეებს, რომ დარჩნენ სახლში. ასევე, მერიის თანამშრომელთა ნაწილი გადავიდა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე. მუნიციპალიტეტის (ა)იპ-ების დიდი ნაწილი, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, არ მუშაობს, საუბარია სასწავლო და სა-ალმზრდელი დაწესებულებებზე. შესაბამისად, მოსწავლეებიც და პედაგოგებიც სახლში არიან, გაჩერებულია კულტურისა და სპორტის ცენტრის საქმიანობაც, თუმცა, ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები. მათთან ერთად მუშაობენ მუნიციპალიტეტის ის სამსახურები, რომლებიც დედოფლისწყაროს განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. წინა კვირას, ოფიციალური ფეისბუქგვერდის მეშვეობით, მე დედოფლისწყაროელებს ვამცნე, რომ მნიშვნელოვანი პროექტები

# 30 მარტიდან მოსწავლეებისთვის გაკვეთილების ტრანსლირება დაიწყება

30 მარტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში სკოლის მოსწავლეებისთვის გაკვეთილების ტრანსლირება დაიწყება. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ კორონავირუსთან დაკავშირებით გამართულ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, განათლების სამინისტროს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი ინიციატივა პანდემიის პირობებში, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

„მოგეხსენებათ, რომ სასწავლო პროცესი შეჩერებულია. საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებულია 21 აპრილამდე, თუმცა ობიექტურად რომ შევფასოთ სიტუა-

ცია, შანსი იმისა, რომ აპრილის ბოლოს სასწავლო პროცესი გაგრძელდება, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ არსებობს შანსი, რომ სასწავლო პროცესი ვერ გაგრძელდეს. ამიტომ, განათლების სამინისტრომ ოპერატიულად მიიღო გარკვეული ნაბიჯები დისტანციური სწავლების გაძლიერებასთან დაკავშირებით და საერთოდ, ქვეყანაში ამ მიმართულების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ძალიან კარგი თანამშრომლობა აქვთ საზოგადოებრივ მაუწყებელთან და 30 მარტიდან უკვე დაიწყება პირდაპირ ეთერში კონკრეტული გაკვეთილები საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის. რა თქმა უნდა, იდეალურია, როდესაც მოსწავლეს კლასში მასწავლებელთან აქვს პირდაპირი შეხება, თუმცა იმ მდგომარეობაში, რაშიც

ჩვენ ვიმყოფებით ამ პანდემიის პირობებში, ესეც წინგადადგმული ნაბიჯია და ჩვენ მივესალმებით იმას, რასაც განათლების სამინისტრო და საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთობლივად აკეთებენ“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა ინტერნეტ პროვაიდერებს, რომ გაითვალისწინონ სტუდენტების და მოსწავლეების ინტერესი, რათა მათ მარტივად ჰქონდეთ წვდომა ინტერნეტთან.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნული ინიციატივისთვის განათლების მინისტრს მადლობა გადაუხადა.

„ამასთან ერთად, მინდა მოვუწოდო თოთოულ ინტერნეტ პროვაიდერს, რომ გაითვალისწინონ როგორც სტუდენტ-

ბის, ასევე ჩვენი მოსწავლეების ინტერესი იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მარტივად ჰქონდეთ წვდომა ინტერნეტთან, შესაბამისად, დისტანციურ გაკვეთილებთან. სწორედ ამიტომ იყო ტელევიზია გამოყენებული, იმისთვის, რომ ძალიან კარგად გვესმის, რომ ჯერჯერობით სამწუხაროდ, ჩვენს ყველა მოქალაქეს ინტერნეტთან წვდომა არ აქვს. ეს კიდევ ერთი დამატებითი მიმართულებაა, რომელზეც მთავრობამ უნდა იფიქროს. დღევანდელ რეალობაში დისტანციური სწავლა-განათლება შეიძლება ძალზედ აქტუალური გახდეს ჩვენს ცხოვრებაში. მადლობა ბატონო მიხეილ და წარმატებებს გისურვებთ“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

# საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

2020 წელი თანამედროვე მსოფლიოში ახალ კორონავირუსთან ბრძოლით დაიწყო. ჩინეთში წარმოშობილი ახალი უცნობი ინფექციური დაავადება უკვე დღემდე მინუს თითქმის ყველა კონტინენტი მოიცავს. ჯერ გლობალურ საფრთხედ, შემდეგ კი პანდემიად გამოცხადებული ახალი კორონავირუსი რამდენიმე ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზნით განცხადდა. როდის და რატომ ხდება ახალი დაავადების გავრცელება? რას ნიშნავს საგანგებო მდგომარეობა? რა იკრძალება და რა იზღუდება ასეთ სიტუაციაში?

## რას ნიშნავს საგანგებო მდგომარეობა?

საგანგებო მდგომარეობა არის სიტუაცია, როდესაც მთავრობა უფლებამოსილია შეასრულოს ისეთი ქმედებები ან განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რის უფლებასაც ჩვეულებრივ სიტუაციაში თავს არ მისცემდა. საგანგებო მდგომარეობა შეიძლება გამოცხადდეს სტიქიური უბედურების, სამედიცინო პანდემიის / ეპიდემიის, სამოქალაქო არეულობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ეს არის სიტუაცია, როდესაც უშუალო საფრთხე ექმნება ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, ქონებას ან გარემოს. საგანგებო მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად კი საგანგებო სიტუაციათა უმეტესობა სასწრაფო ჩარევას მოითხოვს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ფარგლებში, კონკრეტული ზომები იქნება აღებული.

შეზღუდვებისა და დაშვებების შესახებ დეტალურ ინფორმაციას პრემიერის პრესსამსახური ავრცელებს.

## იზღუდება საზოგადოებრივი მოქმედება:

საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე, შეჩერებულია ყველა სახის საერთაშორისო სამგზავრო მიმოსვლა — საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო. ჩარტერული ფრენები იგეგმება საჭიროებისამებრ. შეწყვეტილია სამგზავრო მატარებლების მოძრაობა, შეუფერხებლად ხორციელდება მხოლოდ სატვირთო გადაზიდვები. იკრძალება საქალაქთაშორისო სამარშრუტო ტაქსებითა და ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა. ჩერდება შიდა საჰაერო მიმოსვლა მგზავრთა გადაყვანის მიზნით. საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში განხორციელდება მხოლოდ ჩარტერული ფრენები.

თვითმმართველი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის საზღვრებში შეჩერებულია შიდა მიმოსვლა — სამარშრუტო ტაქსებითა და ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ცენტრსა და სოფლებს შორის სამგზავრო გადაყვანაზე.

## საგანმანათლებლო დაწესებულებაში 21 აპრილამდე შეჩერდება სასწავლო პროცესი:

შესაბამისი ტექნიკური რესურსის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაძლებელია დისტანციური სწავლება.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ადმინისტრაციები ვალდებული არიან, 21 აპრილამდე იმუშაონ დისტანციური

რეჟიმით, თუ მათი ადგილზე ყოფნა კრიტიკულად მნიშვნელოვანი არ არის. აიკრძალა ყველა სახის ტრენინგი, კონფერენცია და სემინარი. მსგავსი ღონისძიებები დასაშვებია მხოლოდ დისტანციურ რეჟიმში.

შესაძლებლობის ფარგლებში დასაშვებია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, ასევე, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების წესებით მოთხოვნილი ადმინისტრაციული წარმოების დისტანციურად წარმართვა. ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების ვადები საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე შეჩერებულია ჩაითვლება.

## შეიზღუდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები:

აიკრძალა ყველა ტიპის კულტურული ღონისძიების ჩატარება, როგორც დახურულ, ასევე, ღია სივრცეში.

აიკრძალა ყველა ტიპის სპორტული ღონისძიება, როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში, მათ შორის, წვრთნა, ვარჯიში.

როგორც კულტურული, ასევე სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობებისთვის დასაშვებია მხოლოდ



დისტანციური ფორმები.

## იზღუდება შიდა საზოგადოებრივი და თავშესაფარი:

საჯარო სივრცეში აიკრძალა 10-ზე მეტი პირის თავშესაფარი. საჯარო სივრცეში ნიშნავს ნებისმიერ ადგილს როგორც გარეთ, ასევე, შენობებში და არ გულისხმობს კერძო პირის საცხოვრებელ ადგილს.

აიკრძალა ყველა ტიპის სოციალური ღონისძიება, რომელიც 10-ზე მეტი პირის შეკრებას ითვალისწინებს, მაგალითად, ქაღალდი, ქორწილი.

10-ზე მეტი პირის თავშესაფარი დასაშვებია იმ კერძო დაწესებულებებში, რომლებიც მუშაობას განაგრძობენ. ისინი ვალდებული არიან, სამუშაო სივრცეში დაიცვან ორ მეტრიანი სოციალური დისტანცია და დაემორჩილონ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს.

## იზღუდება აკონკრეტული საქმიანობა:

რესტორნებს, კვების ობიექტებს, საწარმოებს, ეკრძალებათ მომსახურების სივრცეში მომხმარებლების დაშვება. აღნიშნული ტიპის ობიექტებს საქმიანობა შეუძლიათ მხოლოდ ადგილზე მიტანის ან ე.წ. „დრაივის“ მომსახურებისთვის.

შეჩერდა კლუბების, გასართობ-დასასვენებელი ცენტრების, კინოთეატრების, სპორტული-გამაჯანსაღებელი კომპლექსების, სილამაზის სალონების, ღამის კლუბების საქმიანობა.

აზარტული და მომგებიანი თამაშების მომსახურება აკრძალულია. აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ ელექ-

ტრონული ფორმით.

სურსათის მწარმოებელი, გადამამუშავებელი ობიექტები ვალდებული არიან, სურსათის ნებისმიერი სახით დამუშავების დროს დაიცვან ტემპერატურული რეჟიმები; პერსონალმა გამოიყენოს პირბადე, თავსაბურავი და ხელთათმანი; პერსონალმა ხშირად, თხევადი საპნით და წყლით დაიბანოს ხელები; ერთჯერადი ხელსახოცით ხელის გამწვანების შემდეგ ხელები დაიშუშაოს არანაკლებ 70%-იანი სპირტის შემცველი ან სადეზინფექციო ხსნარით;

სურსათის მწარმოებელ, გადამამუშავებელ ობიექტებს ევალებათ, უზრუნველყონ ყველა იმ ზედპირის და ინვენტარის ხშირი რეცხვა-დეზინფექცია, რომელსაც შეეხება აქვს სურსათთან, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისთვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;

სურსათის მწარმოებელმა და გადამამუშავებელმა ობიექტებმა სამუშაოს დაწყების წინ უნდა გააკონტროლონ პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ხველა, სუნთქვის უკმარისობა, ტემპერატურა). სურსათის ნებისმიერი



სახით დამუშავების დროს დაიცვან ტემპერატურული რეჟიმები;

მიტანის სერვისის მიმწოდებელი ობიექტები ვალდებული არიან, სურსათი მოათავსონ ერთჯერად ტარაში, ხოლო მრავალჯერადად გამოსაყენებელი კონტეინერების შემთხვევაში, ყოველი გამოყენების შემდეგ უზრუნველყონ რეცხვა-დეზინფექცია; სურსათის ტრანსპორტირებისას დაიცვან შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმი. პერსონალი ალჭურვონ პირბადითა და ხელთათმანით;

საცალო და საბითუმო ვაჭრობის ობიექტები ვალდებული არიან, პერსონალი ალჭურვონ პირბადითა და ხელთათმანით; ხშირად ჩაატარონ რეცხვა-დეზინფექცია და გააკონტროლონ მომხმარებლების მიერ სოციალური დისტანციის, არანაკლებ ორი მეტრის დაცვა.

## წესდება შეზღუდვა კერძო საქმიანობათა და თავშესაფარის:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პირველივე მოთხოვნისთანავე, იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებული არიან, საქართველოს მოქალაქეების საქართველოში ჩამოყვანის და ტვირთის ტრანსპორტირების მიზნით განახორციელონ ჩარტერული ფრენები;

უზრუნველყონ შესაბამისი პირების გადაყვანა საკარანტინო ზონებში, ხოლო ტვირთების გადაზიდვა — დაწესებულების ადგილებში.

გამოყონ სასტუმრო და განთავსე-

ბის მსგავსი საშუალებები შესაბამისი სერვისებით კარანტინში მოქალაქეთა განთავსებისა და მათთვის სათანადო პირობების შესაქმნელად.

## წესდება შეზღუდვა საჯარო სპორტის მიმართებაში:

ჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის წარდგინის და განხილვის ვადაები;

წესდება ადმინისტრაციული საჩივრის წარდგინის და განხილვის ვადაები;

დგინდება ნოტარიუსების საქმიანობის განხორციელების ვადაები;

ამასთან, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს დასაშვებია:

## 10-ზე მეტი პირის თავშესაფარი საზოგადოებრივ ტრანსპორტში, თუ მას არ უზრუნველყოფს საგანგებო მდგომარეობის გამო;

10-ზე მეტი პირის თავშესაფარი სამედიცინო ან საჯარო დაწესებულებებში, თავდაცვის ძალებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში;

10-ზე მეტი პირის თავშესაფარს დაკავშირებული შეზღუდვა არ ეხება სამშენებლო-ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებას;

დასაშვებია სურსათის, ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და საარგავი მასალების საცალო რეალიზაცია;

ელექტროკომუნიკაციის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, წყლის, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდების ობიექტების საქმიანობა;

სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია;

საქმიანობის შეჩერება არ ეხება საქონლის, პროდუქტის საცალო/საბითუმო მიწოდება/რეალიზაციის ობიექტებს, თუ საცალო მიწოდება-რეალიზაცია ხორციელდება ადგილზე მიტანის მომსახურებით, ან ადგილიდან გატანით სარეალიზაციო სივრცეში მომხმარებლის წვდომის გარეშე;

საქმიანობის შეჩერება არ ეხება პრემის ჯიშურებს;

დასაშვებია რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, საწარმოებსა თუ ორგანიზაციებში არსებული კვების ობიექტების საქმიანობა მხოლოდ ადგილზე მიტანის ან პროდუქტის სატრანსპორტო საშუალებით გატანის მიზნით, სარეალიზაციო სივრცეში მომხმარებლის შესვლის გარეშე.

## რისი გაკეთება შეიძლება საგანგებო მდგომარეობის დროს?

- დაიცავით საგანგებო მდგომარეობის დროს გამოცხადებული გეგმა;

- მოამზადეთ პირველადი სასწრაფო დახმარების ნაკრები;

- დარწმუნდით, რომ უსაფრთხოდ ხართ, სანამ სხვებს გაუწევთ დახმარებას;

- მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით მიიღეთ ინფორმაცია შესაბამისი ოფიციალური უწყებების წარმომადგენლებისგან და მიჰყევით მათ ინსტრუქციას;

- დარჩით სახლში, სანამ უშუალო მითითებებს არ მიიღებთ.



# დედამიწის სიჩუმისა და პირბადის მიღმა

დედამიწა გაღიალა- ჩვენი გულში ფუსფუსით, მორთხილვით, შურით, ზოგით, გუნებაზა ადამიანის ზამოქმედად.

**„ღმერთი მოკვდა, გაუმარჯოს ზეკაცს“**- თქვა ნიკემე. ადამიანმა ამისი აღსრულება მოინდომა. ღმერთის სიკვდილი და ზეკაცის დაბადება, თავისი ყოვლისშემძლეობის დამტკიცებამეცნიერული მიღწევებით, ახალი პლანეტებისა და სიცოცხლის აღმოჩენით, ადამიანის შემცვლელი რობოტის შექმნით...

**„ღმერთი მოკვდა“**- ამბობდა ბევრი, ვინც ფული იშოვა, ძალაუფლება მოიპოვა და ახალი ექსპერიმენტებისთვის ლაბორატორიები ააგო. ახალი ადამიანის შექმნა მოისურვა, ახალი იარაღისა, ისეთის, თვალთ უხილავ ომს რომ მოიგებდა... დედამიწა დაილალა. ადამიანთან ბრძოლით, მუდმივად იმის მტკიცებით, რომ ძალმომრეობის დემონსტრირება მასთან საჭირო არაა. დაილალა და ამდენი მოფუსფუსე და თავის უძლეველობაში დარწმუნებული ადამიანი სახლში გამოკეტა, დარაბები მიახურინა. ნებაყოფლობითი საკნები გადაიტვირთა ბავშვებით, მოხუცებით და ენერგომოდლავებული ხალხით, რომელთათვისაც სახლში ჯდომა ყველაზე დიდი სასჯელია...

დარაბებს მიღმა კი გაზაფხულია და ამ მშვენიერ დროს, როცა ბუნება იღვიძებს და ირგვლივ ყვავილების მათობა სურნელი ტრიალებს, შენ უხილავი მტრის გემინია, გარეთ გამოსვლის გეშინია, ადამიანებს უფრ-

თხი. და თუ მაინც გამოდიხარ, ნილაბ-სა და ხელთათხანს იმარჯვებ, როგორც ყველაზე სანდო ფარს.

**ჩვენი რუკა განითვლება.** კორონავირუსი მსოფლიოს ყველა ქვეყანას მოედო. გარეთ სიჩუმეა. ეს უჩვეულო მდგომარეობა გვაკრთობს, გვაშინებს კიდევ. ერთ დროს ხმაურიან ქუჩებს ორი-სამი მანქანა არღვევს და ადამიანების ხმის დეფიციტია. ვიცით, ეს დროებითია. ამასაც გადავიტანთ, თან ძალიან მალე, თუ გავანალიზებთ, რომ ერთი ადამიანის ჯანმრთელობა ათასობით მოქალაქის სიცოცხლის გარანტიაა. დიას, ეს ომია, რომელიც ახლა, დახურულ დარაბებს მიღმა, სიცარიელეში ბორგავს - დუმილით, იარაღის გარეშე, ხმაურის და სიცილიანი წუთების გარეშე, მეგობრების, ნათესავების გარეშე. **ეს ომია. რომელიც არ ჩანს, არც ხმა გვესმის, მხოლოდ ინფიცირებული და დაღუპულთა სტატისტიკა რეალობას ხშირად გვახსენებს.** ყოველი ფატალურად დასრულებული შემთხვევის შემდეგ შიში გვიპყრობს და ერთმანეთს მხრების აჩჩვით, დუმილიანი თვლებით ვანიშნებთ, რომ ნავაგეთ. მაგრამ ეს შიში გვაერთიანებს კიდევ, მასთან ბრძოლის ჟინს გვიორმაგებს.


როდესაც სკოლის მოსწავლეები კენჭს უყრიან, თუ რომელი ფრინველი, რომელი ყვავილი ან ხე აირჩიონ თავიანთი სამშობლოს სიმბოლოდ, ისინი გადწყვეტილებას კი არ ლებულობენ, არამედ ისტორიის არჩევანს უკეთებენ რატეფიკაციას. საქართველოს სიმბოლო რომ მუხაა, ეს ყველამ ვიცით.

ჟამთა ჭიდილში გამარჯვებული ხე უძლეველობის, ურიცხვ მტერთან გამარჯვების სიმბოლოცაა...

**ისტორიას თავისი კონსტიტუცია აქვს, ისევე, როგორც სამიმ დაავადებებს- თავისი ეტიმოლოგია.** მოვა დრო, კორონაც დამარცხდება, როგორც დამარცხდა მანამდე არსებული ვირუსები-მავე ჭირი თუ ებოლა. მანამდე კი პასუხისმგებლობა ყველამ უნდა ავიღოთ საკუთარ თავზე და ამ ომში ჩვენი წილი აგური დავდოთ.

**ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მაგრამ ჩვენი გაერთიანება, სიყვარული და თანადგომა კორონას ნამდვილად დაგვამარცხებინებს.** ამიტომაც უნდა დავრჩეთ სახლში, დარაბებგამოკეტილ ოთახში, რომელიც ყველაზე საიმედო ციხესიმაგრეა.

ჩვენ ამ ომს ერთად მოვიგებთ და ალბათ, ამასობაში, დედამიწასაც მოსწყინდება ჩვენი სახლში ჩაკეცვა, დაისვენებს და გამოგვიშვებს გარეთ. თუმცა, მანამდე ისევ ახალ სტატისტიკაზე მოგვიწევს ლაპარაკი, ახალ ინფიცირებულებზე, გამოჯანმრთელებუ-



ბულებზე და ზეგ კი ერთად ავიტოვოთ დრო უკან, 13-დან 0-მდე...

მანამდე კი, დედამიწის სიჩუმისა და პირბადის მიღმა, გავრი დრო გვაქვს ფიქრისთვის, სიკეთის კითხვისთვის, ღირებულებათა გადაფასებისთვის... ის, რაც ვერ გავაკეთეთ თავისუფლებისას, იქნება კარგაკმეტილოვნისას მოვახარხართ და პასუხიც გავცათ კითხვას- რა საჭიროა ორმოცი თავისუფლება, თუ რუკაზე ერთი თეთრი ლაქაც არ არის?

ინგა შიოლაშვილი

# ის მაინც მოდის...

ამას წინათ, ერთი კარგი მწერალი აღმოვაჩინე, რომელმაც ძალიან სასიამოვნო და ახალგაზრდული თემატიკით შეაბიჯა ლიტერატურულ სამყაროში. ია კარგარეთელი სწორედ ასეთი მწერალია: იმედის, სიბოროსა და მომავლის. სოციალურ ქსელში რას არ ნახავს ადამიანი, მაგრამ რაღაც იმედისმომცემს როდესაც კითხულობს, სულ სხვანაირად ეცვლება განწყობა. სულ სხვანაირად უღიძობს ბედ-იბოლიც. დღეებია ია კარგარეთელის სწორედ ამ ფრაზას ვატრიალებ გონებაში: „წელს მოსულ გაზაფხულს დარდიც ბევრი მოჰყვა და ცრემლიც, მაგრამ ჯიუტად მჯერა, რომ გამოიღარებს...“

ჯიუტად სჯერა ბუნებასაც. ყველაფერი, რასაც ჩვენ ახლა გარშემო ვხედავთ, ბუნების გამოძახილია. ბუნების, რომელიც ჩვენთვის მშობელივითაა: გვივლის, გვაჭმევს, გვასმევს, ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავს, მაგრამ დგება დრო, როდესაც ჩვენც უნდა მოვუაროთ ჩვენს მშობელს. დავეხმაროთ, რომ დაგვეხმაროს, რომ მომავალი გვექონდეს, დავეხმაროთ, იმიტომ რომ ეს მნიშვნელოვანია. ამას ყოველ წამს ვგრძნობთ, მაგრამ არ ვიმჩნევთ.

1.100.000 შედეგი 46 წამში. ეს სიტყვების ის რაოდენობაა, რომელიც

გუგლის საძიებო სისტემაში სიტყვა „გაზაფხულის“ მოძებნისას გვხვდება. გაზაფხული, ლექსები, ამომავალი მზის ქვეყანა, ყვავილები - ეს სიტყვები კი ყველაზე ხშირად შეგხვდებათ, თუკი მოძებნილ ვარიანტებს გადაავლებთ თვალს. გაზაფხული თავისი დინებით მოდის. მოდის და თან მოაქვს ატმოსფეროების, შინდის, ტყემლების სუნი. უცებ, იისა და ფურისულას სურნელიც შეერევა ამ დიდ „ალიაქოს“ და გგონია, ესაა სწორედ ის ბედნიერება, სადაც ყველაფერი გიხარია: სიბორო, სიმშვიდე, სილამაზე, ირგვლივ ყველაფერს რომ ამწვანებს და აფერადებს.

მართალია, წელს მოსულ გაზაფხულს ყველაფერი განსხვავებული მოჰყვა. მაგრამ გაზაფხული მაინც გაზაფხულია. და საერთოდაც, ვფიქრობ, რომ ჩვენს პლანეტაზე სულ რომ გაზაფხული იყოს, ალბათ, ადამიანები ნაკლებად ბოროტები და ნაკლებად აგრესიულები იქნებოდნენ. ალბათ, ყველა გაიღიმებდა და ყველას გაუხარდებოდა ის ფერები, რომელიც გაზაფხული მოაქვს თან. მარტი ყავისფერია, აპრილი - მწვანე, მაისი კი - მაისი ყველა თბილი ფერია ჩემთვის.

იმიტომაცაა ეს წელი განსხვავებული, რომ წელიწადის ეს დრო აქა-



მდე ჩვეულებრივი გაზაფხულივით მოდიოდა. გაზაფხულივით ფეთქავდა ბუნება. ჩვენ ვიღიმოდით, ჩვენ გვიღიმოდნენ, ჩვენ ვმომობდით, ჩვენთვის შრომობდნენ. ახლაც, თითქოს ასეა. მაგრამ რაღაც სევდიანად... რაღაც მიიმდებ და არა მსუბუქად ყვავილობს ეზოებში ხეხილი... იმიტომაცაა, ეს გაზაფხული განსხვავებული, რომ გვინდა, მალე გავიდეს. წინა გაზაფხულები, უფრო იმიტომაც გვიხაროდა, რომ ეს შეუმჩნეველად მალე მოდიოდა. ახლა კი კალენდარს ვუყურებთ და ვხვდებით, რომ დრო უჩვეულოდ ნელა გადის. აღარ გვიყვარს ეს გაზაფხული. 2020-ის გაზაფხული.

განა ვიცით, რატომ გვიყვარს გაზაფხული? განა იცით, ზუსტად როდის და როგორ დგება, ან როდის იცვლება ზუსტად წელიწადის დროები? როდის შემოდის ის ჩუმი სიხარული, რასაც გამოიღარება ჰქვია? მარტის სიგიჟების, აპრილის წვიმებისა თუ მაისის მზეების მომლოდინე, იქნებ ზუსტად მაშინ მოდის გაზაფხული? იქნებ, გაზაფხული იქაა, სადაც იმედია, სიბორო, სიყვარულია, ამის გარეშე დადასტურებად კი უბრალოდ ბუნებას ვირჩევთ. ტყუილად კი არ ვიმღერეთ, „გაზაფხული შემოსულა ლენ“, ფუჭად კი არ გამართეს რია-რია ჩიტებმა, ამაოდ კი

არ მოგვენატრა ცისფერი, უბოროკილო დღე. უსაფუძვლოდ კი არ ვიხსენებთ, რომ ტურფა გაზაფხული აუცილებლად მოვა, რომ ტურფა გაზაფხული ნამდვილად მოდის, მოდის გორა-გორა, ტყე-ტყე, ჯერ მერცხლები არ ჩანან, „მომიბიძც მოვლენ როდის“, მაგრამ „გული ხომ მაინც შეუპყრია ტურფა გაზაფხულის ლოდინს“?

„მარტის თოვამაც გადაიარა, და გაზაფხული წარჩა ნისლეში, სულს ვიმწობ მწეხე... ქუჩის ბოლოში აუვაფდება იასამანი“...

ღიას. ჩვენ სწორედ ამიტომ გვიყვარს გაზაფხული. გაზაფხული, გაზაფხული, რომელიც მაინც მოდის... იმედის, სინათლის, მზის სხივისა და ცვლილების. იმ მილიონიანი კიბის შედეგად მიღმა კი ყველას თავისი გაზაფხული აქვს, რომელსაც ელის... გაზაფხულის მოსვლას კი ყოველ ჩვენთან მაინც აცხადებენ ტყავლის ტოტიდან ყვავილების თოვს ამცნოვს. სიცივიდან სითბოვან, უიმედოვიდან - იმედისკენ, სიბნელიდან - სინათლისკენ აუჩქარებლად მომავალი გაზაფხული.

შუშუნა ყანაშვილი






# ცხოვრება წითელ ზონაში

მეოთხე თვეა, რაც ახალმა „კოვიდ-19“-მა მსოფლიო დააბრკოლა. ჩინეთიდან დაწყებული ეპიდემიამ ნახევარი მილიონი ადამიანი დააინფიცირა. საგანგაშოა გარდაცვლილთა სტატისტიკა, რომელიც ევროპა-სა და ამერიკაში ყოველდღიურად მატულობს. განსაკუთრებით დიდია სიკვდილიანობა იტალიაში, რომლის მთავრობაც ვირუსის შეჩერების შექანიზმს ვერა ვერ პოულობს. მკითხველს იტალიაში მცხოვრები, ჩვენი თანამემამულის, ყურნალისტ მანანა მჭედლიშვილის საინტერესო ინტერვიუს ვთავაზობთ წითელი ზონიდან:

-13 წელია ვცხოვრობ იტალიაში და სხვადასხვა საქმიანობებთან ერთად ვთანამშრომლობ 2 კოოპერატივთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ემიგრანტი ბავშვების ინტეგრაციას ქვეყანაში და აქედან გამომდინა-



რე მინევეს გაკვეთილებზე დასწრება სკოლებში, რაც ძალიან მომწონს. ამას გარდა ვარ მთარგმნელი-მედიატორი და ვებმარეტი ენის არმცოდნე ქართველებს საავადმყოფოებში (ერთხელ ქირურგიულ ოპერაციასაც დავესწარი)

**-შენი აზრით, რამდენად მოულოდნელი იყო იტალიისთვის ეს გამოწვევა და რატომ ჩავარდა ის მძიმე სიტუაციაში?**

მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, წესით, მაგრამ მაინც არ ეგონათ. უნდა ვთქვა, რომ იტალიაში ახლა არის მთავრობა, რომელსაც არ აქვს დიდი გამოცდილება... ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ რაიმე დიდი შეცდომები ფიქსირდება, უბრალოდ ისე მოხდა, რომ ვერ შეაფასეს საფრთხე კარგად. პირ-

ველი იტალია იყო, ვინც დაკეტა საზღვრები ჩინეთთან და რალაც-ნაირად თავი დაიმშვიდეს, ეგონათ ყველაზე ნაკლებად რისკავდნენ. როგორც იკვეთება, თითქმის ერთი თვე ცირკულირებდა ვირუსი, როცა მიხვდნენ. ისიც იმიტომ, რომ ახალგაზრდა ადამიანი დაავადდა და ვერაფრით ხსნიდნენ ასეთ გართულებას და გაუკეთეს ტესტი. მოგეხსენებათ, იტალია ხანდაზმულების ქვეყანაა, ეს ვირუსი სწორედ მათ ერჩით უფრო მეტად, ამიტომ ვერ ხვდებოდნენ, როცა მოხუცები მძიმდებოდნენ, რომ კორონავირუსი იყო. მაშინ, კი როცა გაიაზრეს, უკვე ისე იყო მოდებული, რომ კონტროლი დაკარგეს.

**-როგორია ხალხის განწყობა კარანტინის პირობებში?**

ხალხი შეშინებულია, მაგრამ ლომბარდიის გარდა ვიტყვოდი, რომ პანიკა არაა დიდად. არიან 2 კატეგორიის ადამიანები. ზოგს არ ეშინია და ფიქრობს, რომ მარტო ის რისკავს, ვისაც რამე სხვა პრობლემებიც აქვს. ასეთები, სამწუხაროდ არც ფრთხილობენ და ხელს უწყობენ გავრცელებას. არის კატეგორია, რომელთაც ეშინიათ, მაგრამ მაინც ფიქრობენ რომ უფრო ლოკალიზებულია ლომბარდიის და იმედი აქვთ, მალე გადაივლის. ისე ძალიან კომუნიკაბელური ხალხია, მაგრამ ახლა ამ ვირუსის ფონზე ყველა ცდილობს შემოვიაროს და პირი მიიბრუნოს.

**-როგორ ფიქრობ, როგორ გაუმკლავდება ქვეყანა ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ კრიზისს?**

-მედიასაშუალებები კარგს ვერაფერს პროგნოზირებენ. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გაექცათ ვირუსი ისეცაა, რომ ხალხს იმისიც ეშინია, რა იქნება შემდეგ. ასე რომ დაკეტავ ყველაფერს, ხალხი, ბუნებრივია, დაკარგავს სამსახურს. ამიტომ თავიდან, როცა გაუღერდა რეალური საფრთხის შესახებ, არ უნდოდათ დაჯერება, ამბობდნენ ჩვეულებრივი გრიპია, მოხუცები ადრეც იხოცებოდნენ გრიპითო. არ დავარქმევ დაუდევრობას, ეს უფრო შიში იყო იმის, რაც მერე იქნება. ეს გარდაუვალია და ვფიქრობ, არა მარტო აქ. ისეა მოდებული, ადგილები არ აქვთ საავადმყოფოებში. სიკვდილიანობის დიდი წილი მაინც ასაკოვან ხალხზე მოდის. არ გამოვიციხვარ, რომ ახალგაზრდებმაც, თუკი ექიმს საჭიროებენ და ვერ მიაკითხეს საავადმყოფოს, გარისკონ სიცოცხლით. საქმე ისაა, რომ ევროპის ქვეყნები დიდი

ხანია უგულებელყოფენ პანდემიების საფრთხეს. იმიტომ, რომ ეს მსოფლიოს მესამე ქვეყნების პრობლემა ჰგონიათ. აქ მაგალითად, ბოლოს, ებოლა რომ იყო, ჰქონდათ სპეციალური განყოფილებები. მაგრამ ნელ-ნელა დაკარგა აქტიულობა და მიივიწყეს, გააუქმეს და ახლა მოუზადებლები არიან. ასეთი საფრთხეებისთვის იტალიის მედიცინა საკმაოდ ძლიერია, ასე რომ არ იყოს, ხალხი ამდენ ხანს ვერ იცოცხლებდა, ხომ ლოგიკურია, მაგრამ ინფექციური დარგი არ აქვთ ძლიერი. არც დანადგარები და აპარატურა აქვთ შესაბამისი.

**-ასეთ განვითარებულ და ძლიერ ქვეყანას რომ ასეთი მდგომარეობა აქვს, როგორ გვხვდება ლარნი სამშობლოში მყოფი შენაინებს, რამდენად მომზადებულად გამოვიყურებით?**

.საქართველოს სასარგებლოდ ბევრი რამ მუშაობს. ერთი ის, რომ კარგად დაინყეს გააზრება და დროულად მოახდინეს პირველი რეაგირება. მეორე ის, რომ ცოტაა ხალხი და ბევრად უფრო იოლია გაკონტროლება როგორც ტესტირებით, ასევე ხალხის სახლებში გაჩერების. იმასაც დავამატებდი, რომ ბიზნესი ისე არ ყვავის, რომ ქვეყნის დაპაუზებამ დიდი ზარალი მოიტანოს. აქ კიდევ ვერ ბედავთ ბევრი რამის დაკეტვას, იმიტომ, რომ ეს უმუშევრობის პირდაპირი გარანტიაა.

**-აქ აზრთა სხვადასხვაობაა რელიგიური თვალსაზრისით, ხალხის აზრი ორდაა გაყოფილი და მკვეთრად ემიჯნება მრევლის და საპატრიარქოს გადანყვებილებს სააღმშენებლო რიტუალების ირგვლივ. როგორ მოიქცა მსგავსი სიტუაციაში კათოლიკური ეკლესია?**

ეკლესიები, რამდენადაც ვიცი, დაკეტულია. აქ პაპი ყოველ კვირა დღეს წმინდა პეტრეს ტაძრის წინ შეკრებილ უთვალავ მრევლს მიმართავდა ხოლმე ვატიკანის ფანჯრიდან. ეს მაშინვე შეწყვიტა, როგორც კი ვირუსის გავრცელების საფრთხე გაჩნდა. არც განიხილება ეგ პრობლემა, რამდენადაც მე ვიცი.

**-როგორია ეროვნული ვალუტის მდგომარეობა იტალიაში?**  
ფიქრობ, ლარის გაუფასურებაში



დიდი წილი მიუძღვის აქედან გზავნილების შეწყვეტას. ჯერჯერობით, მშვიდობა არ ვართ. მერე რა იქნება, არ ვიცი. გაძვირების ტენდენცია არაა, უბრალოდ, იყო ნიღბების ძვირად გაყიდვის ფაქტები

**-ახლა ყველას უჭირს, მაგრამ იტალიის მიმართ გამოიჩინა თუ არა ევროკავშირმა საკმარისი ყურადღება და როგორ?**

მე ვემიჯნები ამ აზრს. როგორც გითხარი, ეს პოლიტიკის თემაა. აქ ახლა ახალი მთავრობაა, დიდი ხანია აქაური ეკონომიკა კარგად არ მიდის და ხალხი ფიქრობს, რომ ევროპიდან გამოსვლა გამოსავალია. ეს ადამიანები ახლა გავრცელებენ ამ გაზვიადებულ ინფორმაციას, რომ არ გვეხმარება ევროპა. ევროპა კანკალებს პანდემიის შიშით, ყველას საკუთარი თავი გასჭირვებია, რა უნდა ქნან.

**-პირადად შენ როგორი განწყობა გაქვს და რატომ გადანყვები მანდ ღარჩენა?**

მე ოპტიმისტურად ვარ, რომ ყველაფერი მალე დამთავრდება. მიმართა, ახლა რომ ყველა ემიგრანტი დაბრუნდეს სამშობლოში, ეს ყველასთვის რისკის შემცველი იქნება. ზოგიერთი ჩვენგანი, შეიძლება ვირუსის გადამტანიც აღმოჩნდეს. ამ ეტაპზე სჯობს, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის.

**იმედია, კორონავირუსი მალე დამარცხდება და ყველანი ისევ ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებით. ყველას ჯანმრთელობას და სიცოცხლის ხალხის გისურვებ!**

ქსაშპრა ელზა ხარაშვილი

## გურამ დოჩანაშვილის უკვდავი ფრაზები, რომლებიც საუკუნეებს გაუმღებს

„ნამდვილ ჯამბაზს თვალბში ყინული და წებო კი არა, ნალვლიანი საიდუმლო უნდა ჰქონდეს.“

ციტატის წყარო: „სამოსელი პირველი“  
„სწორედ ესაა ადამიანისთვის ადამიანი... შენ მარტო იყავი, სუსტი და უმწეო და ამიტომ შეგვიმინდა. შენთვის ღამე იყო. ხომ ღამე იყო ამ ორიოდ წუთის წინ, ახლა კი, ჩემთან რომ ხარ, ახლა ხომ დღეა? სწორედ ესაა ადამიანისთვის ადამიანი...“

„ადამიანი ადამიანისთვის დღეა...“  
„იმ ძნელ ხეს სულში ამოყვანა უნდა, ადამიანებო, თქვენს კლდოვან სულში!“

ციტატის წყარო: „სამოსელი პირველი“  
„არაფერი ისე გადამდები არ არის, როგორც გულწრფელი ღიმილი, მთქნარებაზე მეტადაც კი...“

„ისიც იცოდე, ძალიან დიდი განსხვავება არ აქვს იმას, ადრე მოკვდები თუ შედარებით გვიან, რადგან ბოლო მაინც ეგ არის... მთავარია, თუ როგორ მოკვდები და რის ჩადენას მოასწრებ.“

ციტატის წყარო: „სამოსელი პირველი“  
„სწორედ ესაა ადამიანისთვის ადამიანი... შენ მარტო იყავი, სუსტი და უმწეო და ამიტომ შეგვიმინდა. შენთვის ღამე იყო. ხომ ღამე იყო ამ ორიოდ წუთის წინ, ახლა კი, ჩემთან რომ ხარ, ახლა ხომ დღეა? სწორედ ესაა ადამიანისთვის ადამიანი...“

„არაფერი ისე გადამდები არ არის, როგორც გულწრფელი ღიმილი, მთქნარებაზე მეტადაც კი...“

„ნუ გეწყინებაზე... ოღონდ იცოდე — ქვეშარითად გულადი კაცი რომ გახდე, რაღაცა უფრო ღირებულისთვის უნდა იბრძოდე, ვიდრე ეს გააუბრებელი ხარი თუ გაცოფებული კამეჩია...“

„თავაყობობი, დამდულრული შესცქეროდა პირველი მწყემსი, დიდი ვაკეირო და როგორც იქნა, ბოლოს გაბედა...“

„თავისუფლება“? მხოლოდ თვალებით იკითხა, მხოლოდ უტყვად იკითხა ზე მორეირამ, „თავისუფლება“? - ასე იკითხა თვალებით მხოლოდ და ენის წვერით ხარბად აილოკა ზედა ტუჩი და შეაქცქერდა.  
-ხო.“

ციტატის წყარო: „სამოსელი პირველი“  
„დედამინას სიყვარული ატრიალებს.“

ციტატის წყარო: „სამოსელი პირველი“  
„ოკვანე ხარ... დიდი მოქნილი თევზებით სახვე. ხან გაცოფებული თავსდატეხილ გრიგალებს უყეფ, ხანაც კი-მშვიდი, ბლანტი და ფსკერზე ზარმაც ფიქრებად ირხევიან ფერად-ფერადი მცენარეები... ოკვანე ხარ, მზეზე იზომრები და ღამით, უნებურად გაღვიძებული, ისევ სიკვდილზე ფიქრობ და გრძობ, რომ მუდამ ორთქლები, რომ უცილებლად დაიწრები და შენი თევზე-

ბიც სულს დაღაფავენ... მაგრამ როგორც არ უნდა მოიწყინო, გაიტეხო გული, შენ ჯოუტ თევზებს საკვები მაინც უნდათ და... ისევ დავბოდილობთ ქვეყნად, ამ დალოცვილი დედამინის ზურგზე...“

ციტატის წყარო: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“

„შეხედავ კაცს-მოგონება, გაიცნობ -მოგენონება, დაგელაპარაკება -მოგენონება, დაგელაპარაკება ისევ- უიმი, მტრისას... შემოიკრავ თავში ხელს, როგორ შევცდი, ვინ მეგონა და... პირიქითაცაა: შეხედავ - აგბურძგლავს, გაიცნობ - დაგბურძგლავს, დაილაპარაკებს - დაგთუთქავს, მერე კიდევ მოუსმენ, შეხედავ, ახედავ, დახედავ და... არც ისე ცუდი კაცია. და მერე სულ ერთია - არაა ცუდი. მაგრამ მესამენიც არიან, სერგო ჩემო, ყველაზე ძნელი ხალხი: შეხედავ - კარგია, გაიხედავ - ცუდი, გაივლი, გამოივლი, შეხედავ - ისევ კარგია, ნახვალ, ნამოხვალ - მაინც ცუდი... ნარმოგიდგენია? -ხან კარგი, ხან ცუდი, ხან კარგი, ხანაც...“

ციტატის წყარო: „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი ანუ გრიპა და მთავარი“  
„ცხოვრებაში ძალიან ძნელია, კაცი რომ გამოიცნო, ლიტერატურაში კი, იცოცხლე, გაგხარია - გმირი ან ცუდია, ან კარგი. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ უმცირესობაა მხოლოდ კარგი ან მხოლოდ ცუდი, უმრავ-

ვლესობა კი ცუდ-კარგია... ასეთია შინაარსობრივად ჩემი აზრი, ამ ცუდ-კარგებს კი მოფერება უნდა, გაგება უნდა, დაყვავება; განყრომაც კი უნდა ხანდახან, დარიგებაც - მთავარია, უშუალო იყო. გაპრანჭულ ხალხს ვერ ვიტან, ის რა კაცია, სანამ პასუხს გაგცემს, ჯერ გუნებაში რომ აწონ-მოწონის და მერე ვერცხლის ლანგრით ჭკვიანურ პასუხს მოგართმევს - იმისი სიტყვა სხვაა, ის არაა ნამდვილი სიტყვა.“

ციტატის წყარო: „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი ანუ გრიპა და მთავარი“

„ჩემი პრობლემა ძალიან რთულია და თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ კიდევ: მე მინდა, რომ ჩემი ხელშეწყობით ადამიანები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან, რა თქმა უნდა, ყველას კი არ ვგულისხმობ; ეს მხოლოდ ჩემს ნაცნობებს შეეხება, ყველას სად გავნვდები, მაგრამ ეს რთულია, - ჰეი, როგორი რთული. ხანდახან იმის დადგენაც კი ჭირს, ვინ ცუდია და ვინ - კარგი.“

„ჩვენ ყველასა გვაქვს რაიმე დაფარული ალმოჩენის წრიალა სურვილი“

ციტატის წყარო: „სამოსელი პირველი“  
„დაწოლისას, დაძინებამდე არის ერთი, რაღაც პატარა, გარდამავალი წამი, როცა საკუთარი თავი ყველამ ვიცი.“

ციტატის წყარო: „სამოსელი პირველი“

# „ ვინერვიულთ მშვიდად “ - ჯანა ჯავახიშვილი

„გაზიარებული წესილი განხვევებული წესილია, გაზიარებული სინარული გაორმაგებული სინარულია“...

კორონავირუსის გამო საზოგადოებაში მალალი შფოთვა შეიმჩნევა. როგორ შეიძლება შევინარჩუნოთ სიმშვიდე და გავუმკაცროთ სტრესს - გთავაზოვთ ფსიქოლოგ ჯანა ჯავახიშვილის რეკომენდაციებს.

### როგორ შეიძლება შევინარჩუნოთ სიმშვიდე ისეთ ვითარებაში როგორც დღეს არის საპარტოვარო მდგომარეობა?

დღეს როგორც საქართველოში, ასევე დანარჩენ მსოფლიოში კორონავირუსის სახით გაჩნდა ახალი, სწრაფად გავრცელებადი საფრთხე, რომელიც ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს. სიცოცხლის მუქარა ადამიანისთვის ტრავმული გამოცდილებაა. შიში და შფოთვა ამგვარ ვითარებაში სავსებით ნორმალური განცდებია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას: ამგვარ სიტუაციაში ადამიანს არ გამოადგება სრული სიმშვიდე შეინარჩუნოს. პირიქით, მას სჭირდება შფოთვის ენერგია, რომ მისი ძიებები — თავის გასაფრთხილებლად, გარშემომყოფების გასაფრთხილებლად.

კორონავირუსის პრევენციის ერთ-ერთ ყველაზე შედეგიან ღონისძიებებად

უნდა ვიმუშავოთ/ვიზრუნოთ. ამისთვის, შესაძლოა ახლოდებულთა ვეციით ემოციური მხარდაჭერა და დამშვიდება (ე.წ. „ემოციების ვენტილაცია“) ვუნოდებთ ფსიქოლოგიაში; თუ ეს ვერ გვეხმარება, მაშინ მივმართოთ სპეციალისტს.

როგორც ადამიანს, ასევე საზოგადოებას, მომადლებული აქვს სტრესთან გამკლავების რესურსები. ჩვენ გვხვასიათებს სტრესის თავის გართმევის როგორც თანდაყოლილი, ასევე შეძენილი უნარები. ყველა თავისებურად ვუმკლავდებით სტრესს. ამის ილუსტრაციაა ის ვიდეოები, რომელიც დღევანდელ დღეს იტალიიდან ვრცელდება — ადამიანები აივნიბიდან არიან გადმომდგარი, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ერთმანეთს შეუძახებდნენ და ამხნევენ. ეს სტრესის თავის გართმევის კონსტრუქციული და შედეგიანი გზაა. სხვათაშორის, ამან მომაგონა ჩვენი გამოცდილება: 90-იანებში, საქართველოში, შიმშილობისა და უშუქობის დროს, ჩემს ოჯახში მეგობრები იკრიბებოდნენ, საღამოობით, სანთლის შუქზე ვმღეროდით. მეზობლებს კარგად ესმოდათ ჩვენი სიმღერა, რადგან არც შუქი იყო და შესაბამისად, არც რა-

ვადგენდით იმის გამო, რომ ნიღბები ან სადები-ფექციო საშუალებები ვერ ვიმოხვეთ.

ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ სხვისი დაცულობა ჩვენს დაცულობაზე ასხამს წყალს და არა პირიქით. ამიტომ უნდა შევეცადოთ, სტრესის დაძლევის ეს დესტრუქციული სტრატეგიები ამოვიღოთ ჩვენი ქცევითი რეპერტუარიდან (ხელის ჩამორთმევასთან ერთად).

### რა როლი აქვს ნაბიჯურ და პოზიტიურ ინფორმაციას?

სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებობს ექსპერიმენტები, როდესაც ადამიანებს სთხოვდნენ ჩამოენერათ თავისი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენები. აღმოჩნდა, რომ ადამიანების უმრავლესობა უფრო მეტ ნეგატიურ მოვლენას იხსენებს, ვიდრე პოზიტიურს. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ნეგატიურის დამახსოვრება თვითგადარჩენისთვის უფრო მნიშვნელოვანია: ეს ადამიანს მომავალში ანალოგიური საფრთხის თავიდან აცილებაში ეხმარება.

ასეა დღევანდელ სიტუაციაშიც, მნიშვნელოვანია მივიღოთ ნეგატიური ინფორმაცია, რათა სათანადოდ ვიყოთ ინფორმირებული რისკებზე და შესაბამისად, თავი ვუფექტურად დავიცვათ.

მაგრამ, პანდემიის სიტუაციაში არის რისკი იმისა, რომ თუ ინფორმაცია იქნება მხოლოდ ნეგატიური და ფაქტობრივად, ცალმხრივი, ადამიანს გაუჩნდება უსუსურობის განცდა. ხოლო უსუსურობის განცდა არაფერში გვეხმარება, რამდენადაც უმოქმედობისკენ გვიბიძგებს. ამ დროს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გავარჩიოთ ერთმანეთისგან, თუ რა არის ჩვენზე დამოკიდებული და რა არა, რათა უსუსურობის განცდა გადავლახოთ და მოქმედების სწორი სტრატეგია დავგეგმოთ. ეს სწორედ დაბალანსებული — როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ინფორმაციის მიღებით ხდება შესაძლებელი.

თუ ადამიანს არ ვანვდით პოზიტიურ ინფორმაციას (მაგ., რა არის შედეგიანი ვირუსთან ბრძოლაში, როგორ კარგად მუშაობენ ისინი, ვინც მართლაც კარგად მუშაობს, როგორ ემხარებიან და ზრუნავენ ადამიანები ერთმანეთზე, გამოჯანმრთელების შემთხვევები და ა.შ.), მაშინ ინფორმაციას ცალმხრივად ვანვდით, საზოგადოებაში უსუსურობის განცდას ვალრმავეთ და ფაქტობრივად, არ ვებმარებით მას ამ რთულ ვითარებასთან გამკლავებაში.

### რა მთავარი შეიქვს სტრესთან გამკლავება?

ვიყოთ მაქსიმალურად ინფორმირებული. ვიმოქმედოთ კარგად ცნობილი ფორმულით: შევეგუოთ იმას, რისი ცვლილებაც არ ძალუქვს; არ დავიშუროთ ძალისხმევა იმის გასაკეთებლად, რაც ჩვენს ძალებშია და მოუწმობთ სიბრძნეს, რომ ერთი მეორისგან გავარჩიოთ.

არ გადავიქცეთ ინფორმაციის პასიურ მიმღებებად, პირიქით, ვიყოთ ინფორმაციის აქტიური მომხმარებლები: განვსაზღვროთ, თუ როდის და დღემი რამდენჯერ (რეკომენდაცია — ერთხელ-ორჯერ) გვინდა განვსახლოთ ინფორმაცია ეპიდემიის დინამიკაზე, დავუკვირდეთ და აღვიქვათ ინფორმაცია იმ მიზნით, რომ ის დაგვეხმაროს ჩვენი მოქმედებების დაგეგმვაში. ინფორმაციის მოძიებისას აუცილებლად გავვაიმოთ ნყარობის სანდოობა და დავეყრდნოთ მხოლოდ სანდო ნყარობებს.

გვახსოვდეს, რომ ვირუსის ეპიდემიისას გარშემომყოფთა და სხვების კარგად ყოფნას შეაქვს წვლილის ჩვენს კარგად



დღესთვის არის მიჩნეული სოციალური დისტანცირება. ეს გულისხმობს, რომ ჩვენ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევიცვალოთ ქცევა: გადავისწავლოთ ძველი ჩვევები, დავისწავლოთ ახალი. მაგალითად, თუ ხელის ჩამორთმევა, გნებავთ ქართულ, გნებავთ ბევრ სხვა კულტურაში — ნორმალური, გავრცელებული ქცევაა, ამჟამად მდის მუშაობა იმაზე, რომ ეს ქცევა ამოვიღოთ რეპერტუარიდან. ემოციური ფონის თანხლებით, ადამიანი უფრო სწრაფად სწავლობს. ამიტომ, როგორც აკიდო იყენებს მონინალმდეგის ენერჯის, ხოლო სერფერი ოკეანის დიდი ტალღის ენერჯის თავის სასარგებლოდ, ზუსტად ასევე უნდა გავაკეთოთ ჩვენ:

ვფოტოავთ? ძალიან კარგი, გამოვიყენოთ ეს ენერჯი, რომელიც გვაშობილივხვას, და უფრო მოვიტოვოთ უფრო ვიზუალური საკუთარ და გარემოში ყოფნა უსაფრთხოებაზე, დავიცვათ პირიქის წესები და სოციალური დისტანცია. ასე რომ, მთლადაც ნუ დავმშვიდდებით, ეს მოცემულ ვითარებაში არ გამოგვაადგება. ვინერვიულთ, მაგრამ — მშვიდად. ხომ არსაშობს გამოთქმა — ვინერვიულთ ნულა, ზუსტად ასევე მივუღებთ დღევანდელ ამოცნურ ვითარებას და ვინერვიულთ მშვიდად!

### თუ ნარკოტიკი გავაჩვენებთ და უფრო ძალიან გავაჩვენებთ იფავე მ?

თუ შიში და შფოთვა ძალიან მალალია, ამან შესაძლოა, მობლიზების ნაცვლად, სრულიად ამოგვადოს კალაპოტიდან ისე, რომ ყოველდღურ რუტინულ ქცევებს ვეღარ შევასრულებთ. თუ თავს ამგვარად ვგრძნობთ, ეს ის მდგომარეობაა, რომლის ცვლილებაზეც



ყოფნაში, ამიტომ ვიზრუნოთ არა მარტო საკუთარ თავსა და უახლოეს გარემოცვაზე, არამედ გავითვალისწინოთ სხვების ინტერესებიც, ნუ შევქმნით ხელოვნურ დევიციტს.

არ დავიზაროთ ჩვევებისა და ქცევების ცვლილება: დავიცვათ ინტენსივიციური ჰიგიენური ნორმები, დავიჭიროთ სოციალური დისტანცია, შევეცადოთ რომ შევეცვალოთ მუშაობის, დასვენების, გართობის ქცევები იმგვარად, რომ შევამციროთ ინფექციის გავრცელების რისკი.

ვიზრუნოთ ჩვენზე უფრო მოწყობად ადამიანებზე: მარტონულა მოსუცვაზე, რისკის ზგუზავის ადამიანებზე (ბულ-სისხმარლთა დაავადებები და სხვა ძრონიკული დაავადებები). ვიზრუნოთ ჩვენი ოჯახის წევრ მოსუცვაზე, გავვებზე. დავიხმაროთ განათლების სისტემას დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადაწყობაში. დავიხმაროთ ჰავევებს დისტანციური სწავლის მითვების ათვისებაში.

გვახსოვდეს, რომ ზგუვების რეაქცია შექმნილ რთულ ვითარებაზე დიდნილად არის დამოკიდებული ჩვენს რეაქციებზე, ამიტომ შევეცადოთ რომ ზგუვებსაც მივანოდოთ დაბალანსებული ინფორმაცია, რაციონალურად, დაშინების გარეშე: როგორც რისკებზე, ასევე თავდაცვის საშუალებებსა და გზებზე. ასევე, ესაუბრეთ სოციალური დისტანცირების ღონისძიებებთან დაკავშირებული ცხოვრების წესის ცვლილების თაობაზე, რომ იგი არ იყოს დაბნეული. დანახეთ ამ ცვლილებებთან დაკავშირებული შესაძლო პოზიტივი: მაგ., ის, რომ ახლა მეტ დროს გაატარებთ ერთად.

თუ ზგუვს ვევატყვით, რომ ჭარბად ემოციურად უდგება სიტუაციას, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს თავს დავუშვათ ვეკითხვა — ხომ არ ვსაუბრობთ ან ვეცხვით ოჯახში იმგვარად, რომ მასში პანიკურ რეაქციას ვიწვევთ. ვევატყვით გავუთვროთ ზგუვებს ემოციური მხარდაჭერა, ასაკის შესაბამისად ვითავაშოთ ან ვისაუბროთ მათთან.

შევექმნათ სათემო, სამეზობლო, სამეგობროების მასშტაბის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა-ცირკულირების მექანიზმები, რათა ვიცოდეთ, თუ ვის ესაჭიროება დახმარება და როგორ შეგვიძლია დავხმაროთ.

შევეცადოთ ერთმანეთის გამხმევას, ემოციურ მხარდაჭერას: გავიზარებულნი წახილი განახმევაშული წახილია, გავიზარებულნი სინარული გარგებავული სინარულია.



# საბანგეპო მდგომარეობა, არღაღებეპი კი არა!

კორონავირუსის გავრცელების გამო ქვეყანაში საბანგეპო მდგომარეობაა გამოცხადებული და სხვადასხვა აკრძალვები დაწესებული. აკრძალულია 10-ზე მეტი ადამიანის შეკრება. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მარნეულში ინფიცირებულ პირს, ათეულობით ადამიანთან შეხვედრა კონტაქტი, საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში მკაცრი საკარანტინო რეჟიმი გამოცხადდა. ჩაკეტილია ორივე რაიონის შესასვლელი, რომელსაც სამხედროები და შსს-ს თანამშრომლები აკონტროლებენ. გარდა ამისა, მთავრობის გადაწყვეტილებით, საქალაქთაშორისი გადაადგილება აკრძალა ყველა სახის ტრანსპორტით, პირადი ავტომობილების გარდა. შეზღუდვები დაწესდა ტაქსებზეც - მძღოლებს უკანა სავარძლებზე მხოლოდ 2 მგზავრის გადაყვანის უფლება ეძლევათ ღია ფანჯრების პირობებში.

საბანგეპო მდგომარეობის გამოცხადებამდეც, მთავრობას კორონავირუსის პრევენციისთვის დაწესებული ჰქონდა არაერთი შეზღუდვა. კერძოდ: - მუშაობა შეწყვიტა ყველა სანაჭრო ობიექტმა სასურსათო მალაზიების, სააფთოებისა და საფოსტო ქსელების, განვიხილავთ სადგურებისა და განაშენიანების გარდა; - ანიკრძალა სამარხებში ტაძარების გადაადგილება; - საზღვარი დაკეტა უცხო ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის; - საპარო მიმოსვლა შეწყდა ყველა კომპანიისთვის საქართველოს ავიანაზიების გარდა; - ყველას, მინც საქართველოს საზღვარს გადაეკვეთა, კარანტინში გაუშვებენ; - საჯარო დაწესებულებების ნაწილმა, მათ შორის, შსს-ს მომსახურების სააგენტო და ნუსტიციის სახლმა მომსახურებები შეწყვეტა; - გარდა ამისა, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორს მიცემული აქვს რეკომენდაცია დისტანციურ მუშაობაზე. 70 წელზე ზევით მოსუცებს კი თვითიზოლაცია ურჩიეს.

საქართველოს მთავრობამ დროულად და საკმაოდ გონივრულად მიიღო ზომები აღნიშნული ვირუსის სანინა-ალმდეგოდ და ყოველდღიურად ისმის მონიტორინგი, გამოვიჩინოთ მეტი სიფრთხილე, დავრჩეთ სახლში და გავეფრთხილოთ ჩვენი და ჩვენი ახლობლების ჯანმრთელობას.

შექმნილ ვითარებაში, ზოგადი ნესების არ დამორჩილება, რბილად რომ ვთქვათ, დიდი უგუნურებაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქებიდან მშობლიურ სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში დაბრუნდა. ნაწილი საზღვარგარეთიდან ბრუნდება და თვითიზოლაციაშია. საღად მოაზროვნე ადამიანები, რომელთაც აქვთ მაღალი თვითშეფასება, ამ სიტუაციაში გაათამაგებულად ფრთხილობენ და ზუსტად იცავენ ქვეყნის ნორმებს.

ნესების და კანონის არ დამორჩილებამ სავალალო შედეგებამდე მიიყვანა იტალია. დღეს-დღეისობით, ყველაზე მძიმე მდგომარეობა ამ ქვეყანაშია. იტალიაში მცხოვრები ქართველი წერს: - „ამჟამად ავსტრია-სლოვენის საზღვართან ვარ. ბუბისთან და მის ქალიშვილთან ვცხოვრობ. რთული ვითარებაა ძალიან, გარეთ გახედვაც აღარ შეიძლება. პოლიცია პატრულებს მთელი ღამე, გარეთ არ გამოხვიდეთო. ერთადერთი სასურსათო მალაზიები მუშაობს დილის ცხრიდან საღამოს ექვს საათამდე. აქ ქართველები ერთმანეთისგან ძალიან შორს ვართ-მთებში და შორეულ სოფლებში, მაგრამ აქაც განაშენიანებული რაიონები იზრდება. არა მგონია ჩვენ რამე ჩავგავადონ ასეთი საბანგეპო მდგომარეობის დროს ქვეყანაში, სადაც ამბობენ, რომ თუ ასარჩევია, ჯობია დავეხმაროთ 40 წლის ინფიცირებულს, ვიდრე სამოციასო; ვფიქრობ, უნდა შევკვირდეთ. არაა იოლი ასე შორს, ოთხი ათასი კილომეტრის მოშორებით და ასე დაუცველად გრძობდით თავს, როგორც ახლა. იტალიელები ძალიან არასწორად შეხედენ ამ ვითარებას-ხალხის დაუდევრობა, ამ დღეში რომ ვართ. არ გაუფრთხილდნენ ოჯახებს და ირგვლივ მყოფებს, არ

დაიკეტა ბარები და რესტორნები ბოლო წუთამდე; ასევე, ყავახანები. არსად არ იყო ერთჯერადი ჭურჭელი; ღია იყო აუზები და სავარჯიშო ცენტრები და აი, შედეგიც მივიღეთ. მე მტკივა იტალია და მანუხებს ამ ხალხის ბედი, რამეთუ 13 წელია აქ ვარ, მაგრამ ვბრაზობ მათზე - მგონი, ჩინეთმა კი არა, იტალიამ შეუქმნა დედამინას ეს ვითარება. ძალიან ვეჭვობ, რომ სამ აპრილამდე მდგომარეობა შეიცვალოს. ძალიან გაექცათ ვირუსი, შეიძლება მეც დაინფიცირებული ვარ და არ ვიცი ამწუთას, ამიტომ მნიშვნელოვანია თვითიზოლაცია, უნდა ჩაკეტონ ადამიანები სახლებში, რადგან ბევრმა არ იცის, არის თუ არა ვირუსის მატარებელი. შეიძლება ახალგაზრდამ იოლად გადალახოს ეს ვერაფერი დაავადება, მაგრამ დაინფიცირდეს ათი ადამიანი მაინც. მინდა, საქართველო და ქართველი ხალხი არ აღმოჩნდეს ასეთი დილემის წინაშე-არ შეხედოთ ამ საშინელ ჭირს ზერულად. დედამინამ უნდა დაძლიოს ეს სენი“ - წინა ბარნიძე, ინჟინერი, 13 წელი ემიგრაციაშია.

რამდენი ასეთი მაგალითი შეიძლება დაინეროს? - უამრამ! და მიუხედავად ამისა ჩვენი თანამემამულენი ფიქრობენ, რომ მათ არ ემუქრებათ ამ ვირუსით დაინფიცირება. რაიონში დაკეტილია ყველა დაწესებულება, მათ შორის სპორტული ობიექტებიც. მიუხედავად ამისა ცენტრალური სტადიონის დაკეტვას მრავალი ადამიანი აპროტესტებს, უფრო მეტიც, არ ემორჩილება ნესებს და დაკეტილი კარიც არ არის პრობლემა, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გადადიან დაკეტილ კარებზე და გვიგინაირად ბრუნდებიან უკან. (მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ამას სწადიან ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები). ასეთი პრინციპულ სიტუაციაში, ცენტრალურ სტადიონზე დამონტაჟებული ტრანსპორტი არ არის ერთმანეთთან შეხვედრისა და ბართობის ადგილი! ადამიანებო, საბანგეპო მდგომარეობაა, არღაღებეპი კი არა! საშინია! ზოგადად კორონავირუსი არის საკმაოდ გამძლე



ვირუსი. სხვადასხვა კვლევებით მეცნიერებმა დააზუსტეს კორონა ვირუსის გამძლეობის ხანგრძლივობა სხვადასხვა ზედაპირზე:

1. პლასტმასის ზედაპირზე - 5 დღე
  2. ალუმინზე - 2-8 საათი
  3. ქირურგიულ ხელთათმანზე - 8 საათი
  4. ფოლადზე - 48 საათი
  5. ხის ზედაპირზე - 4 დღე
  6. მინის ზედაპირზე - 4 დღე
  7. ქალაქზე - 4-5 დღე.
- ამასთან, დღეს ყველასთვის, ყველა კონტინენტზე, ეპიდემიის შეკავების ყველაზე ეფექტური მეთოდი სოციალური დისტანცირებაა, ის, რომ ხალხის მასობრივი შეკრების ადგილი, დახურული და ღია ადგილები, პარკების გარშემოწერილობა მთავარი წყაროა, ეს ახსნას ალარ უნდა საჭიროებდეს. ამის არგუმენტაციის ნაცნობი დანაშაულია და თუ არ გვინდა გავიზიაროთ იტალიის ბედი, დავამორჩილოთ კანონს და ჩვენივე სასიცოცხლოდ დანაშაულს აპროტესტავს. მხოლოდ მაშინ დავამარცხებთ კორონა ვირუსს თუ გვქმნება მაკალო საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და გაუფრთხილდებით ერთმანეთს. აი მაშინ კი „Tutto and bene!“ „ყველაფერი პარგად იქნება“.

## „მე ვარ საქართველოს მოქალაქე“!

„მე ვარ საქართველოს მოქალაქე, ვინაიდან აზერბაიჯანელი ვიცი ქართული ენა. არ ვარლევ სახელმწიფოს მიერ დადგენილ შეზღუდვებს, ვრჩები სახლში!“, - ბოლო ორ დღეში ქართული ფეისბუქსივრცე ამ შინაარსის პოსტებით აჭრელდა.

საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელები იძულებულნი გახდნენ ასე გამკლავებოდნენ სიძულვილის ტალღას, რომელიც მათ მიმართ მას შემდეგ აგორდა, რაც ცნობილი გახდა, რომ მარნეულელ ქალს კორონავირუსი დაუდგინდა, შიდა გავრცელების საფრთხე შეიქმნა, ხოლო მარნეული და ბოლნისი მკაცრი კარანტის ზონად გამოცხადდა.

„ჩაცხრილეთ, დაწვით, ეგ გაუნათლებლები, ბინძურები, ცეცხლი წაუკიდეთ მარნეულს, მავთულხლართებში გაებმებიან და ისწავლიან ჭკუას, ეგ თათრები, დატოვონ საქართველო, ჩაყარონ ყველა ციხეში“, - ეს მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმ კომენტარებისა, რასაც აზერბაიჯანელების მიმართ სოცსექსელში წერდნენ და პასუხისმგებლობას მოითხოვდნენ არა კონკრეტული პირისგან, ვირუსის გავრცელებაში ადანაშაულებენ არა კონკრეტული ადამიანს, არამედ მთლიანად აზერბაიჯანულ თემს.

სიძულვილის ტალღა იმდენად მტკივნეული და რთულად მოსაწვლელი აღმოჩნდა, თან კორონავირუსის გამო ისედაც გამძაფრებული შიშის და ჩაკეტილი ზონის პირობებში, რომ აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა წამოიწყეს ე.წ. ფეისბუქგამონევა ქართულ

ენაზე. ამით ისინი მხარდაჭერას ითხოვენ და ყველას მოუწოდებენ სიძულვილისგან, ქსენოფობიური განწყობების გამოვლენის თავშეკავებისკენ.

„ერთი სინმინდე არ დატოვებს. დაუგინებელი ადგილი არ დატოვებს. როგორ უნდა გაუძლოს ამას გულმა. მოვა ზაფხული. დამნიფდება ისე პომიდორი. დამნიფდება ის თაობებიც, რომლებიც ერთმანეთს მიიღებს ყველანაირი განსხვავების გარეშე. გაივლის ეს კორონაც, მაგრამ ლამის ორი მესამედის მხრიდან სიძულვილით მიყენებული ჭრილის დავინყება ძნელი იქნება“, - ეს სიტყვები ჰამიდ სადიკს ეკუთვნის, აზერბაიჯანელ მასწავლებელს. მის მსგავსად საკუთარ გრძობებზე ათობით აზერბაიჯანელი ახალგაზრდა წერს - ისინი, ვისაც ინტერნეტზე ხელი მიუწვდება და ვინც სიძულვილით სავსე კომენტარებს საკუთარი თვალით კითხულობს.

ისინი არც იმას უარყოფენ, რომ ენის ბარიერის გამო, ხალხის უკეთ ინფორმირებაა საჭირო და საამისოდ თავადაც დაიწყეს საინფორმაციო ვიდეორგოლების ჩაწერა და გავრცელება.

„უმძიმეს მდგომარეობაში ვარ... ვცდილობთ შევცვალოთ ეს სიტუაცია ჩემს სამშობლოში, თავს ვიძიებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და მერე ეს მესიჯები მხვდება... სიტყვებით ვარ. სიტყვებით მაიწყებდა. ვერც კი წარმოიდგენთ ეს ტკივილი როგორი ტკივილია, რა ფერია... მაგრამ მერე ნინოები, მარტები, ლევანები, თამარები და სხვები მახსენდება, რომელიც მწერენ, „გიულგოუნ ყველაფერი კარ-

გად იქნება, მიყვარხარ“ და ამის მერე ისევ თავიდან მჯერა“, - ამას წერს 21 წლის თექლოლი გოგო, გიულგოუნ მამეთხანოვა, რომელიც უკვე რადიო თავისუფლება ცოტა ხნის წინ გიყვებოდათ - როგორ ისწავლა ქართული ენა, როგორ ჩააბარა უნივერსიტეტში, როგორ ცდილობს შეცვალოს ვითარება კარგისკენ თავის სოფელში. და მისნაირი უკვე ძალიან ბევრი ახალგაზრდაა.

აზერბაიჯანელი ახალგაზრდების გამოწვევა ქართველებმაც აიტაცეს.

მათ არაერთმა ადამიანმა გამოუცხადა სოლიდარობა.

„ყველა ვიაზრებთ, რომ ამ სიმბოლური სოლიდარობის კამპანიის მიღმა, არსებობს ნამდვილი სამყარო რეალური, მძიმე ყოფით და მძიმე შრომით, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები ეწევიან. და არსებობს კიდევ უფრო ძვირფასი, ნამდვილი ურთიერთობები, სადაც ყველაზე კარგად, უსიტყვოდ გამოიცდება და დასტურება სოლიდარობა.

პირველ რიგში ჩემს თავს და შემდეგ ყველას, გისურვებთ მეტ ნამდვილ ურთიერთობას საქართველოს რეალობაში მცხოვრებ ადამიანებთან და უსიტყვოდ დადასტურებულ ერთგულებას მათთან“, - დაწერა სოფო ვერძეულმა.

„პრობლემა, სახელად კორონა გლობალურია და ამ გამოწვევის წინაშე მთელი მსოფლიო დგას, იგი არ გამოყოფს ადამიანებს ეთნიკური ნიშნით“ - ეს სიტყვები კი მარნეულის მერს, ზაურ დარგალს ეკუთვნის.

**მონატრება**

**მარგო გამხარავილი**

მარგო ბებო, ჩვენო სათნო და საყვარელო ადამიანო. ძალიან დაგვაკლდები. დაგვაკლდება შენი სითბო და ალერსიანი ღიმილი. არასოდეს დაგვაფიწყდება შენი ამაგი, შენი სიკეთე, რომელსაც უხვად გვიხანისებდი. შენ მუდამ ჩვენს გულში იქნები და სიკვდილი ვერ დაგვაშორებს. უშენობა კი ყოველთვის შეგვახსენებს თავს და ტკივილს მოგვგვრის. სანამ ცოცხლები ვართ შენი შეილება, შევიძლები, შევითავილები, მანამდე შენს სახელს დავინყება არ უწერია. არ მოგაკლდება სანთელ-საკმეველი, სიყვარულით დანთებული შენს სამუდამო განსასვენებელთან.

ბაღა გამხარავილი ოჯახი

---

მამა ხვთისო ჯანიაშვილი, მეუღლე ზაზა ჭიკაიძე, შვილები: გიორგი, მარიამი იუნყებიან

მამა ჯანიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 28.03.20 ქ. დედოფლისწყაროში.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მამა ყველაშვილს მეუღლის, პანო ქაპითარაძის

გარდაცვალების გამო

---

ბიძა სერან ჯანიაშვილი, ბიცოლა ნანა, ბიძაშვილი ხათუნა ოჯახით, მამუკა, გოდერძი, სალომე სიმონიძეები, ბიძაშვილის ცოლი ეთერ მენთეაშვილი, ბიძაშვილისშვილი პაატა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

მამა ჯანიაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო სამძიმარს უცხადებენ მამა ყველაშვილს მეუღლის, პანო ქაპითარაძის

გარდაცვალების გამო



